



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბასილი გარბმელი

ბასილი გარბმელი, IX-X სს. მწერალი და საეკლესიო მოღვაწე.

დაახლ. 916-926 გარბმის მონასტრის წინამძღვარი იყო. ბ. გ-მა თავისი ბიძის, IX ს. ცნობილი საეკლ. მოღვაწის, სერაპიონ გარბმელის ცხოვრებას მიუძღვნა ვრცელი ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრებად და მოქალაქობად ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისად სერაპიონისი“, რ-შიც სერაპიონის საქმიანობის გარდა, გადმოცემულია იმდროინდელი საქართვე. სოც. ყოფის ამსახველი სურათები, სამხრ. საქართვე. მონასტერთა (გარბმა, ოპიზა, პარეხი, ბანავი) მშენებლობა-აღორძინების ამბები; აღწერილია საბ-ბის სხვადასხვა ფენის ურთიერთობა, ეკლესიის როლი ქვეყნის ცხოვრებაში და სხვ. ბ. გ. თხზულებაში მოთხრობილი ზოგიერთი ამბის თვითმხილველია, ნაწილი ცნობებისა კი მას სერაპიონის მონაფეთაგან შეუკრებია. „სერაპიონ გარბმელის ცხოვრება“ პირველხარისხოვან ისტ. წყაროდაა მიჩნეული.

ბ. გ-ის თხზულება ცნობილია მხოლოდ უცნობი ავტორის მიერ XI ს-ში შესრულებული მეტაფრასული (იხ. მეტაფრასი) რედაქციის მიხედვით, რ-ის ერთადერთი, მოსე ჯანაშვილის მიერ მიკვლეული ხელნაწერი, XVI ს. განეკუთვნება. არსებობს მოსაზრება, რომ სერაპიონ გარბმელი და მისი ცხოვრების აღმწერი ბ. გ. არიან არა IX-X სს., არამედ VI-VII სს. მოღვაწეები. ეს შეხედულება თვით თხზულებაშივე გადმოცემულ ისტ. სურათს არ ეთანხმება და დაუსაბუთებელი ჩანს.

თხზ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: ინგოროვა პ., გიორგი მერხულე, თბ., 1954; კეკელიძე კ., ქართული
ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

ს. ცაიშვილი
